შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№38 (9.997)

16-23 ოქტომბერი 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ინფრასტრუქტურული პროექტები და ახალი სისხლი - დედოფლისწყაროს!

ნიკოლოზ ჯანიაშვილს დედოფლისწყაროს მოსახლეობამ 69,44%-იანი მხარდაჭერა და ნდობის მანდატი მესამედ მიანიჭა. როგორც არჩეული მერი ამბობს, ეს მისთვის დიდი სიხარული და უდიდესი პასუხისმგებლობაა. გაზეთ „შირაქთან“ ის სამომავლო გეგმებზე საუბრობს და პირობას აძლევს დედოფლისწყაროელებს, რომ მათ მოლოდინს არ გააწბილებს და 24-საათიან რეჟიმში იშრომებს, რათა წინასაარჩევნო დაპირება, რომელიც დედოფლისწყაროს აღმშენებლობასთან და მოქალაქეების პიროგების გაუმჯობესებასთანაა დაკავშირებული, გოლომდე მიიყვანოს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „ეს გამარჯვება უფრო დიდ პასუხისმგებლობას მანიჭებს. ვპირდები, ჩემს ამომრჩეველს, რომ მუხლჩაუხრელად ვიშრომებ და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ის დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელსაც „ქართული ოცნება“ დედოფლისწყაროში ახორციელებს, ბოლომდე მივიყვანო. რაც შეეხება უშუალოდ პროექტებს. მოხდება „თამარის ციხისა“ და არწივის ხეობის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა. ისინი გახდება მნიშვნელოვანი ტურისტული მიზიდულობის ცენტრები, მათთან მისასვლელი გზის კეთილმოწყობა ხელს შეუწყობს უფრო მეტი ტურისტის მოზიდვას და ასევე, ჩვენს მოსახლეობას საშუალება ექნება, უფრო კომფორტულად მივიდნენ და მოინახულონ ულამაზესი ადგილები. რაც შეეხება არწივის ხეობას, ამ ძეგლზე თანხები გამოყოფილია და გამარჯვებული კომპანიაც გამოვლენილია, ეს არის გარდამავალი პროექტი, რომელიც გულისხმობს მიმდინარე წელს და მომავალი წლის დასაწყისში არწივის ხეობამდე მისასვლელი გზის და საპარკინგე ადგილების მოწყობას. სამუშაოებს კომპანია „სერპანტინი“ ასრულებს და ეს პროექტი აუცილებლად განხორციელდება. როგორც გითხარით, ეს არის გარდამავალი პროექტი და ის გაზაფხულზე დასრულდება, ხოლო ხორნაბუჯთან, იგივე „თამარის ციხესთან“ მისასვლელ გზას - წელს დედოფლისწყაროს მერიამ ევროკავშირის კონკურსში მიიღო მონაწილეობა. როგორც იდეა, რაც ითვალისწინებს ისტორიულ ძეგლამდე მისასვლელი გზის გაკეთებას, საპარკინგე და საპიკნიკე ადგილების და გადასახედის მოწყობას, სველი წერტილების გაკეთებას, უკვე გამარჯვებულია. მეორე ეტაპზე მერიას უკვე გამოცხადებული აქვს ტენდერი, აქაც გამარჯვებული გამოვლენილია, რომ მოხდეს პროექტის მომზადება. ნოემბერში უკვე გვექნება პროექტი და ამ მზა პროექტით მოხდება წარდგენა ევროკავშირის კომისიასთან და იდეა უკვე გადაიქცევა საქმედ. ჩვენ მოლოდინი გვაქვს, რომ დაახლოებით 2 მილიონი ლარი გამოიყოფა ამ პროექტისთვის და ევროკავშირისა და მერიის თანამონაწილეობით ამ პროექტის განხორციელება დაიწყება მიმდინარე წელსვე. ანუ პროექტის განხორციელებაში იგულისხმება ის, რომ როდესაც ევროკავშირი პროექტს უკვე დაამტკიცებს, მოხდება მერიის მხრიდან ტენდერის გამოცხადება და იმ კომპანიის გამოვლენა, რომელმაც სამუშაოები უნდა შეასრულოს.

მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტის ნუსხაში შედის შინმოუსვლელთა მემორიალი, რომელიც ხორნაბუჯის შემოსასვლელში მდებარეობს, „განახლებული რეგიონის“ ფარგლებში ამ მემორიალის აღდგენა და რეკრეაციული ზონის მოწყობა იგეგმება, ის აუცილებლად განხორციელდება და ჩვენ გვექნება ძალიან კარგი ადგილი, სადაც სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები შეძლებენ, რომ დაისვენონ და ცხოვრების ჯანსაღი წესით დაკავდნენ. ასევე მოგეხსენებათ, რომ 2022 წელს ჩვენ ვაცხადებთ ახალგაზრდობის წლად და გვინდა, განვახორციელოთ ბევრი ისეთი პროექტი, რომელიც სპორტს და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. შესაბამისად, მომავალ წელს გვექნება მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით თითქმის ყველა სოფელში ახალი სტადიონები, დაგეგმილია ღია სავარჯიშო მოედნების მშენებლობა, ბავშვთა გასართობი ადგილების და ატრაქციონების მშენებლობა. უკვე პირველი ნაბიჯები გადაიდგა იმისთვის, რომ ქალაქ დედოფლისწყაროში აშენდეს კიკბოქსინგის დარბაზი, ხოლო არხილოსკალოში - ლაშა ბექაურის სახელობის დარბაზი.

აუცილებლად გვინდა, რომ მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის კეთილმოწყობა ბოლომდე მივიყვანოთ. მოგეხსენებათ, ევროკავშირის პროექტის ფარგლებში რეაბილიტირდა სტადიონის შენობა, მოეწყო სველი წერტილები, მოხდა ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნების, განათების მოწყობა, მაგრამ დარჩენილია მესერის და სტადიონის ნაწილი, რომელიც მიხედვას ითხოვს. ღობე ძალიან მოძველებული და ავარიულია, ამიტომ მოხდება 9 ძმის ქუჩაზე არსებული ღობის დემონტაჟი, იგეგმება დეკორაციული, ლამაზი ღობის გაკეთება, რათა ქალაქის იერსახეც გალამაზდეს და თან უსაფრთხოც იყოს ახალგაზრდებისთვის, და არა მარტო მათთვის...

მოგეხსენებათ, ენპარდის პროექტის ფარგლებში, სტადიონის ნაწილობრივი რეაბილიტაციის შემდეგ, ეს ადგილი ახალგაზრდების თავშეყრის საყვარელ ადგილად იქცა. ჩვენი მიზანია, დედოფლისწყაროელ ახალგაზრდებს მეტი კეთილმოწყობილი სივრცე ჰქონდეთ.

დედოფლისწყაროსთვის წყალი არის მთავარი პრობლემა, ხოლო ჩვენი ხელისუფლებისთვის - მთავარი გამოწვევა. წყლის დებეტის გაზრდის პროექტი არის მნიშვნელოვანი და აქედან გამომდინარე, ჩვენი პრიორიტეტია, რომ ეს პროექტი ბოლომდე მივიდეს. მომავალი წელი, ეს იქნება გარდამტეხი წელი, როდესაც მუნიციპალიტეტის მასშტაბით წყალი ყველგან გაკეთდება და ერთხელ და სამუდამოდ უწყლობა წარსულს ჩაბარდება.

-რა ეტაპზეა წყლის სისტემის მშენებლობა?

-დენი უკვე ჩაყვანილია, 35 კილომეტრზე მაღალი ძაბვის ანძები და ელექტროგადამცემი ხაზები გაყვანილია, ტრანსფორმატორები დაყენებულია, მხოლოდ დარჩენილია დაერთება, შესაბამისი ნებართვის გაცემა და მისი ექსპლუატაციაში მიღება. ახლა მიმდინარეობს იმ ხაზის მშენებლობა, რომელი სადაწნევო მილითაც წყალი გამოივლის და ივრიდან ამოვა დედოფლისწყარომდე. ასევე, ჩვენ დედოფლისწყაროელებს ვპირდებით, რომ ძალიან ბევრი და კარგი პროექტი განხორციელდება, რომელიც არა მარტო ვიზუალური თვალსაზრისით გაალამაზებს ჩვენს მუნიციპალიტეტს, არამედ ჩვენს დედოფლისწყაროს და განვითარების სრულიად ახალ ეტაპზე გადაიყვანს.

როდესაც ტურიზმის განვითარებაზე ვსაუბრობთ, არ შემიძლია არ აღვნიშნო მნიშვნეოვანი პროექტის შესახებ, რომელსაც ბიოსფერული რეზერვატი ჰქვია. სამი წლის წინ, მუნიციპალიტეტის მერიამ ევროკავშირის გრანტი მოიგო და ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციასთან რეკ კავკასუსთან ერთად ვმუშაობთ იმისთვის, რომ პირველად საქართველოში ბიოსფერული რეზერვატი შეიქმნას დედოფლისწყაროში, რომელიც არა მარტო მუნიციპალური, არამედ ეროვნული მნიშვნელობისაა. ბიოსფერული რეზერვატის სტატუსი კი იუნესკომ უნდა მოგვანიჭოს. ეს საქმეც უკვე ბოლომდეა მიყვანილი და მიმდინარე წლის ბოლომდე ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციასთან და სოფლის განვითარების სამინისტროსთან ერთად იუნესკოში წარვადგენთ პროექტს, რომელიც, იმედია, წარმატებით დასრულდება.

რეზერვატის შექმნა ხელს შეუწყობს როგორც ტურიზმის, ეკოტურიზმის, ასევე ადგილობრივი წარმოების, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაფართოებას, ჩვენი ცნობადობის ამაღლებას და ტურისტების რაოდენობის გაზრდას. **ასევე, მიდის მუშაობა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, რომ სამუხის ველზე მეექვსე კატეგორიის დაცული ტერიტორია შეიქმნას, რომელიც თვისობრივად სიახლე იქნება, ანუ, ეს არის ნაკლები ხარისხით დაცული ტერიტორია, სადაც ეკონომიკური საქმიანობა ნებადართული იქნება.** სიახლე იქნება ის, რომ ამ ტერიტორიის მართვაში ჩართული იქნება მუნიციპალიტეტი, ანუ ჩამოყალიბდება შერეული მართვის სტილი, სადაც ერთიანი მმართველობის სისტემის ფარგლებში ეკონომიკური საქმიანობის გაძლიერების პარალელურად მოხდება ბიომრავალფეროვნების დაცვა.

- რაც შეეხება დედოფლისწყაროს ცენტრის რეაბილიტაციის პროექტს-მოსახლეობის ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამს ქალაქის ცენტრის დაპატარავების გამო და ამბობს, რომ შადრევანისთვის ამხელა ადგილის დათმობა უწყლო რაიონისთვის არა მარტო ფუფუნებაა, არამედ უადგილოცაა(!?)

-მე მესმის ჩვენი თანაქალაქელების, რეაბილიტაციის პროცესი, შესაძლოა, არის დაკავშირებული გარკვეულ დისკომფორტთან, მაგრამ სამუშაოების დასრულების შემდეგ იმდენად მოწესრიგებული და ლამაზი იქნება ეს ადგილი, რომ დროებით დისკომფორტს ნამდვილად გადაფარავს. რაც შეეხება მოედნის დაპატარავებას, ის არ პატარავდება, ის კეთილმოეწყობა ყველა თვალსაზრისით. მოედნის რეაბილიტაციის შემდეგ დაცული იქნება უსაფრთხოების ნორმები, ხოლო რაც შეეხება დედოფლისწყაროს უწყლობის თემას, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ცოტა ხანში ჩვენი მუნიციპალიტეტი ამ სტატუსს დაემშვიდობება და უწყლობა აღარ შეგვაწუხებს.

-ბატონო ნიკოლოზ, ვიცით, რომ რამდენიმე სოფელში ახალი რწმუნებული გყავთ. მოსალოდნელია თუ არა მომავალში გუნდის განახლება და საკადრო ცვლილებები?

-მოგეხსენებათ, ქვემო ქედის ყოფილმა რწმუნებულმა ავთანდილ ხუმარაშვილმა მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნებში გამარჯვების შემდეგ საკრებულოს მაჟორიტარის მანდატი მოიპოვა. ამის გამო ვაკანტური გახდა სოფლის რწმუნებულის თანამდებობა. ჩვენი გადაწყვეტილებით, რწმუნებული არის ახალგაზრდა, მოტივირებული კაცი ალექსი დოჯურიშვილი. ახალი რწმუნებული ჰყავს სოფელ სამრეკლოსაც - ოთარ ნასრაშვილი, ასევე ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც ახალი ენერგიით შეუდგება საქმის კეთებას. 8 წელია, რაც რაიონის მერი ვარ, მივეჩვიე ამ გუნდთან ერთად მუშაობას. მკვეთრი ცვლილებები და საკადრო გადაადგილებები მოსალოდნელი არ არის, თუმცა, საქმიდან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, რომ გარკვეული ცვლილებები მოხდება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის სამსახურში ჩვენ ერთად ვიქნებით, ახალი სისხლი კი დროდადრო აუცილებელია ისევ ჩვენი რაიონის ინტერესებისთვის.

ესაუბრა

ინგა ჭიოლაშვილი

C M Y K

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით (იჯარით) გადაცემის მიზნით

1. აუქციონზე პრივატიზების მიზნით გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

N	მისამართი	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	ფართობი კვ.მ.	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	„ბე“ საწყისი საფასურის %	ბიჯი საწყისი ფასის %	მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი)
1	ქ.დედოფლისწყარო, რუსთაველის ქუჩა	არასასოფლო-სამეურნეო მიწა	52.08.35.469	20	600	10	5	100
2	სოფ. ოზაანი (თავწყარო)	არასასოფლო-სამეურნეო მიწა შენობით	52.41.31.015	1421-მიწა 73,49-შენობის ქვეშ	2200	10	5	100
3	ქ.დედოფლისწყარო, რყსთაველოს უჩა	შენობის მე-2 სართული	52.08.35.255	129,6	30 000	10	5	100
4	ქ.დედოფლისწყარო, ნიკორციხის ქუჩა	არასასოფლო-სამეურნეო მიწა	52.08.37.096	583	2250	10	5	100
5	სოფ. სამთაწყარო	არასასოფლო- სამეურნეო მიწა შენობით	52.12.32.012	1024-მიწა 188,68 შენობის ქვეშ	20 000	10	5	100
6	სოფ. სამთაწყარო	არასასოფლო-სამეურნეო მიწა შენობით	52.12.32.011	2284 მიწა, 493,94 შენობის ქვეშ	26 000	10	5	100
7	სოფ.სამთაწყარო	არასასოფლო-სამეურნეო მიწა 2 შენობით	52.12.32.013	3214-მიწა, შენობის ქვეშ N1 309,33 და N2 39,066	20 000	10	5	100
8	სოფ.სამთაწყარო	არასასოფლო-სამეურნეო მიწა შენობით	52.12.32.014	1823 -მიწა 292,18-შენობის ქვეშ	12 000	10	5	100

2. აუქციონზე სარგებლობის უფლებით (იჯარით) გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

N	მისამართი	ქონების დასახელება და სარგებლობის ვადა	საკადასტრო კოდი	ფართობი (კვ.მ)	ქირის წლიური საფასური (ლარი)	„ბე“ საწყისი საფასურის პროცენტი	„ბიჯი“ საწყისი საფასურის პროცენტი	მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი)
1	ქ.დედოფლისწყარო	არასასოფლო-სამეურნეო მიწა	52.08.34.042	12	180	10	5	100
2	სოფ.ოზაანი	სასოფლო-სამეურნეო მიწა(საძოვარი)	52.41.32.003	932648	3780	10	5	100
3	სოფ. ოზაანი	სასოფლო-სამეურნეო მიწა(საძოვარი	52.41.32.002	100000	406	10	5	100

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ: საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მე-3 სართულზე (რეგისტრატორი ანა ბენაშვილი, ტ: 599 85 58 40) ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა 10 საათიდან 17 საათამდე 30-ე კალენდარული დღის 13 საათამდე.** იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს 13 საათზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 15 საათზე ქ. დედოფლისწყაროში, მ.კოსტავას ქ. N 44-ში, მერიის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულზე.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადი (დადგენილი ფორმის მიხედვით);

2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძვნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი.

4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

ამ დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ მას გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი.

თბილისში აქცია ,,თავისუფლება მიშას!“ გაიმართა

14 ოქტომბერს, თბილისში ნაციონალური მოძრაობის მიერ დაანონსებული აქცია გაიმართა, რომლის მთავარი სლოგანი იყო - „თავისუფლება მიშას!“. აქციაზე ,მთელი საქართველოდან ,უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. მონაწილეთა სტატისტიკა კვლავ კამათის საგანი გახდა.

„გუშინდელ აქციაზე ბევრი ადამიანი იყო მისული, მაგრამ 2012 წელს ვერც კი შევადარებ, - ამის შესახებ პარლამენტის ვიცესპიკერმა **დავით სერგეენკომ** განაცხადა, რითაც უპასუხა კითხვას, რამდენად არსებობს გარკვეული პარალელი 2012 წლისა და გუშინდელ აქციას შორის ხალხის რაოდენობის თვალსაზრისით.

რაც შეეხება აქციის შინაარსს, როგორც სერგეენკო აღნიშნავს, მას ვერ ექნება გავლენა მართლმსაჯულების აღსრულებაზე. სერგეენკო ამბობს, რომ არც ისე ცოტაა ქვეყნები, სადაც ყოფილი პრეზიდენტები სასჯელს იხდიან.

„კარგად მახსოვს 2012 წელი, რადგან მე თვითონაც ვმონაწილეობდი ამ აქციებში. არ მინდა ეს დაკნინებაში ჩამომერთვას, უბრალოდ ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ. მე არც ერთ ადამიანზე, მათ შორის არც მიხეილ სააკაშვილზე და არც ერთ პატიმარზე არ მომიბრუნდება ენა, ცუდი და იქედნური ვთქვა, მაგრამ ეს არ არის უპრეცედენტო და არ მინდა ქვეყნების ჩამოთვლა - არც ისე ცოტაა ქვეყნები, სადაც ანალოგიური მომხდარა და ახლაც ყოფილი პრეზიდენტები იხდიან სასჯელს. მე არ ვფიქრობ, რომ ეს ქვეყნის იმიჯის შემლახველი იყოს. შესანიშნავი არ არის, რა თქმა უნდა, სჯობდა არ მომხდარიყო ეს დანაშაული, რის გამოც ეს ადამიანი სასჯელს იხდის,“ - განაცხადა სერგეენკომ. ხელისუფლების აზრს არ იზიარებს ოპოზიცია. მათი განცხადებით, 2012 წლის შემდეგ ასეთი ხალხმრავალი აქცია არავის ახსოვს.

ანა წითლიძის თქმით, თავისუფლების მოედანზე გამართული აქციისთვის მხარდამჭერებს სააკაშვილმა მადლობა გადაუხადა.

„მე ვკითხე, რამდენი ადამიანი იყო „ვარდების რევოლუციაზე“ და მას არ ახსოვს რაოდენობა და თქვა, რომ “ვარდების რევოლუციაზე” არ ყოფილა ამდენი ხალხი. მთავარი აქცენტი გადატანილი აქვს მეორე ტურზე. მხარდამჭერებს მოუწოდებს, რომ ყველა მობილიზდეს, რადგან მეორე ტურზე გადის ყველაზე მთავარი - დაწყებული გამარჯვების ბოლომდე მიყვანა“, - განაცხადა წითლიძემ.

ოპოზიციის აქცია შეაფასეს ექსპერტებმაც. 14 ოქტომბერს „ნაციონალური მოძრაობის“ ეგიდით უფრო მეტი ადამიანი შეიკრიბა, ვიდრე ადრე იკრიბებოდა, - ამის შესახებ პოლიტოლოგმა, რამაზ საყვარელიძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, ხალხმრავლობა იმან განაპირობა, რომ ძირითადად საუბარი იყო სააკაშვილის გათავისუფლებაზე და ხშირად ისმოდა ფრაზა „მე არ მინდა ჩემი პრეზიდენტი“ ციხეში იყოს.

„ ეს „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური შეფასების საფუძველზე არ კეთდებოდა, ეს არის ზოგადი ფრაზა, რომ ხალხს არ უნდა ყოფილი პრეზიდენტი ციხეში იყოს. ასევე არ იყო რევოლუციისკენ მოწოდება და ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო იმაზე, რომ არჩევნები არის მოსაგები. ეს საკააშვილის წერილშიც იყო ნახსენები. ამდენად, მოსახლეობისთვის დისკომფორტი ამ შეკრებაში არ იყო. ბევრს, საბედნიეროდ, რევოლუცია არ უნდა. ამასთან, თავისი საარჩევნო პიარიც გამოუვიდათ. მათ გამოიყვანეს ისინი, ვინც არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობას იღებს, ხალხს შეახსენეს და მოუწოდეს მათი მხარდაჭერისკენ“, - განაცხადა საყვარელიძემ. მისივე თქმით, მას არ ჰგონია, რომ ამ აქციის შედეგად სააკაშვილს გაათავისუფლებენ.

„მიტინგებით თუ მოხერხდა მისი გათავისუფლება, ისედაც „კარგ მდგომარეობაშია“ სამართალდამცავი სისტემა და უარესში ჩავარდება. ყველა ტუსაღზე შეიკრიბება მიტინგები და მერე უნდა გამოუშვა - ეს პრინციპი არამგონია გამოდგეს. თუ უცხოეთი ჩაერევა, დამატებითი პრინციპები გაჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებისთვის დიდი დისკომფორტია სააკაშვილის ციხეში ყოფნა და ასეთი მიტინგებიც ამის ლუსტრაციაა, ხელისუფლება კიდევ უფრო მეტ სირთულეებს შეხვდება, თუ დათმობაზე წავა. ძალიან ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება, რომ „ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ ერთმანეთს ეხმარებიან და ერთმანეთით იმყარებენ პოზიციებს. ამ წისქვილზე თუ დაისხა წყალი, სამომავლოდ, „ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქართულ ოცნებასაც“ ამომრჩეველი დააკლდება და მესამე ალტერნატივის ძებნა გაგრძელდება“, - განაცხადა საყვარელიძემ.

„ნეოლაბი“ უკვე დედოფლისწყაროშია

დედოფლისწყაროში ახალი კლინიკა „ნეოლაბი“ გაიხსნა, რომელიც მოსახლეობას ლაბორატორიულ კვლევებს თანამედროვე მეთოდით შესთავაზებს. პრეზენტაციას დედოფლისწყაროს ოჯახის ექიმები ესწრებოდნენ.

8 ოქტომბერს კლინიკის პრეზენტაცია გამართეს ინფექციონისტმა მაია ბუწაშვილმა და ალერგოლოგ-იმუნოლოგმა გიორგი კამკამიძემ. მათ ისაუბრეს „ინფექციური და ალერგიული დაავადებების დიაგნოსტიკის თანამედროვე პრინციპებზე“ და დასძინეს, რომ კლინიკა „ნეოლაბი“ სწორედ ალერგენების გამოვლენას ახორციელებს. მათ ასევე დეტალურად ისაუბრეს დაავადებების დიაგნოსტიკაზე და იმაზე, რომ სწორი დიაგნოზის დასმაში ექიმებს ანალიზები ეხმარება. ანალიზის გაკეთება კი ლაბორატორიაზე დიდწილად არის დამოკიდებული. „ახალი, პსრ კვლევები სწორ დიაგნოსტირებას უწყობს ხელს. ეს აიოლებს დაავადების სწრაფ და უტყუარ გამოვლენას, რაც პაციენტის გამოჯანმრთელების პროცესს აჩქარებს და აიოლებს“-აღნიშნა მაია ბუწაშვილმა. მან კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება აცრების მნიშვნელობაზე და ექიმებს მოუწოდა, რომ ქრონიკული დაავადების მქონენი აუცილებლად და პირველ ეტაპზე უნდა აცრან კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით, რათა დასრულდეს პანდემია და ადამიანებმა ცხოვრების ჩვეული რიტმი დავიბრუნოთ.

კლინიკა „ნეოლაბმა“ დედოფლისწყაროში ფუნქციონირება უკვე დაიწყო. დედოფლისწყაროს ფილიალში თქვენ მომსახურებას გაგიწევთ ექიმი ლია ალხანიშვილი. ანალიზების აღება მოხდება ადგილზე, შემდეგ ისინი გაიგზავნება თბილისში და პასუხებს მოკლე დროში მიიღებთ.

კლინიკა „ნეოლაბის“ მისამართია : ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის ქუჩა N57.

კლინიკა „ნეოლაბი“ დაარსდა 2002 წელს თბილისში. კლინიკა თავდაპირველად ფუნქციონირებდა „რეაბილიტაციის ცენტრის“ ბაზაზე, ხოლო 2010 წლიდან ფუნქციონირება განაგრძო, როგორც დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ. „ნეოლაბი“ აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. მას ფილიალები აქვს ბათუმსა და ბორჯომში. ამჯერად კლინიკამ რიგით მესამე ფილიალი დედოფლისწყაროში გახსნა.

ქველმოქმედება და სათავგადასავლო რალი

12 ოქტომბერს დედოფლისწყაროში საქველმოქმედო აქცია ჩატარდა. აქციის ორგანიზატორები იყვნენ ორგანიზაციები: „სათავგადასავლო რალი- საქართველო“ და „ემაუს საქართველო“. ქალი ავტომრბოლელების მონაწილეობით რალმა სტარტი თბილისში აიღო და დედოფლისწყაროში, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისკენ გამოემართა. ის ერთი კვირის შემდეგ ბათუმში დასრულდება და რამდენიმე დღის წინ ტრაგედიის შედეგად დაზარალებულებს ფულად დახმარებას გაუწევს.

რალის მონაწილეების გადაწყვეტილებით, საქველმოქმედო აქცია წელს საქართველოს ორ მუნიციპალიტეტში -დედოფლისწყაროსა და ახალციხეში ჩატარდება. 12 ოქტომბერს მათ დედოფლისწყაროს 15 სოციალურად დაუცველ ოჯახს ტანსაცმელი და ჰიგიენური საშუალებები გადასცეს. როგორც რალის ორგანიზატორი, „სათავგადასავლო რალი- საქართველოს“ წარმომადგენელი ვერა მურღულია აცხადებს, მათი ორგანიზაცია მესამე წელია დაფუძნდა და აქტიურად ფუნქციონირებს. მათი პარტნიორია საერთაშორისო ორგანიზაცია „ემაუს საქართველო“.

ვერა მურღულია- სათავგადასავლო რალი- საქართველოს დამფუძნებელი: -„უკვე მესამე წელია, წარმატებით ვატარებთ ქალთა საერთაშორისო სათავგადასავლო რალს საქართველოს ტერიტორიაზე. ის გრძელდება ერთი კვირა და მოვივლით საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს უგზოობით. ჩვენს რალს აქვს ჰუმანიტარული დატვირთვა-ყოველ წელს, სხვადასხვა რეგიონში დახმარებებს ვურიგებთ შემწეობამოკლებულ ოჯახებს. დახმარებები შედგება ტანსამოსისგან, ჰიგიენური საშუალებებისგან, სათამაშოებისგან და ა.შ. დახმარების ერთ ნაწილს აგროვებენ თვითონ მონაწილე ეკიპაჟები, ხოლო მის დიდ ნაწილს ჩვენ გვაწვდის საერთაშორისო ორგანიზაცია“ემაუს საქართველო“, რომელიც ჩვენი რალის ოფიციალური პარტნიორია. საქართველოდან წელს 10 ეკიპაჟი გვყავს. რალში სულ მონაწილეობს 33 ეკიპაჟი,ანუ 66 მონაწილე, რომლის წევრებიც ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები არიან. წელს დახმარებებს დავარიგებთ საქართველოში ორ ლოკაციაზე-დედოფლისწყაროში და ახალციხეში- 14 ოქტომბერს. ჩვენი რალის ფინიში იქნება ბათუმში ერთი კვირის შემდეგ, 17 ოქტომბერს და რამდენიმე დღის წინ მომხდარი ბათუმის ტრაგედიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს თანხას გადავცემთ“.

„სოციალურად დაუცველებისთვის ჩვენ ყოველთვიურად ვაკეთებთ სამდღიან საქველმოქმედო აქციებს, სადაც რიგდება ტანსაცმელი. მთელი საქართველოს მასშტაბით გვაკითხავენ დაწყებული სამეგრელოდან, დამთავრებული კახეთით. საქველმოქმედო ორგანიზაცია « ემაუს საქართველო », რომელიც უკვე ექვსი წელია, რაც საქმიანობას ეწევა, ეხმარება ყველაზე შეჭირვებულებს, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და აქსესუარების შეგროვებითა და მათი ძალიან დაბალ ფასად გაყიდვით, აგრეთვე სხვა სოლიდარული ღონისძიებების ორგანიზებით. ყველას შეეძლება, გაიღოს უსარგებლო ნივთი, რომელიც ყველაზე შეჭირვებულებს წაადგება.

მსგავსი იდეა 1949 წელს დაიბადა საფრანგეთში. მე თვითონ საფრანგეთის მოქალაქე ვარ. ეს ორგანიზაცია შემოვიყვანე საქართველოში და მე წამოვედი აქეთ. ჩვენს ორგანიზაციას აქვს ფეისბუქ-გვერდი, სადაც წინასწარ ვაცხადებთ -ხოლმე ასეთი საქველმოქმედო აქციების შესახებ. კარგი იქნება, თუ დედოფლისწყაროელებიც შემოგვიერთდებიან და ისარგებლებენ ამ სიკეთით“ -ამბობს ჩვენთან საუბარში გიორგი ღელალუტაშვილი.

ფეისბუქ გვერდის მისამართია- emmaus geo.

ერთ-ერთი ბენეფიციარი ნათია ყოჩიაშვილი გაზეთ “შირაქთან” ამბობს, რომ ასეთი აქციები აუცილებელია და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის დროული და საჭირო დახმარებაა. ის მადლობას უხდის საერთაშორისო ორგანიზაციებს ყველა სოციალურად დაუცველის სახელით

ინგა შიოლაშვილი

„სოფლის განვითარების პროგრამის“ მწვანე გრანტების კომპონენტში განაცხადების მიღება დაიწყო



სოფლის განვითარების პროგრამის ახალ საგრანტო კომპონენტში განაცხადები ელექტრონული ფორმით, სოფლის განვითარების სააგენტოს ვებგვერდზე www.rda.gov.ge მიმდინარე წლის 8 ოქტომბერიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიიღება.

„სოფლის განვითარების პროგრამას“ სოფლის განვითარების სააგენტო (RDA) ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის” (ENPARD) ფარგლებში ახორციელებს.

პროგრამა, რომლის მიზანია სოფლად არასასოფლო-სამეურნეო სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა, ქედას, ხულოს, ბორჯომის, ახალქალაქის, თეთრიწყაროს, ყაზბეგის, ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში ხორციელდება.

მწვანე გრანტების კომპონენტი ითვალისწინებს შემდეგ მიმართულებებს:

მარტივი მზის გამათბობელი და მზის წყლის გამაცხელებელების თანადაფინანსებას (sSWH/sSAH), სადაც სააგენტოს მიერ დასაფინანსებელი გრანტის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 1,000 ლარამდე (გრანტი 90 %-მდე), ხოლო პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარის თანამონაწილეობა განისაზღვრა მთლიანი ღირებულების არანაკლებ 10% - ით;

ვაკუუმური ტიპის მზის წყლის გამაცხელებელები (vSWH), სადაც სააგენტოს მიერ დასაფინანსებელი გრანტის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 3,000 ლარამდე (გრანტი 80%-მდე), ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობა განისაზღვრა მთლიანი ღირებულების არანაკლებ 20% - ით;

შენობის თბოიზოლაცია: სააგენტოს მიერ დასაფინანსებელი გრანტის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 8,000 ლარამდე (გრანტი 70%-მდე), ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობად განისაზღვრა მთლიანი ღირებულების არანაკლებ 30% -ით; შენობის

სრული თბოიზოლაცია: სააგენტოს მიერ დასაფინანსებელი გრანტის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრა 12,000 ლარამდე (გრანტი 60%-მდე), ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობად მთლიანი ღირებულების არანაკლებ 40% -ით.

ლევან დავითაშვილი გაერო-ს კლიმატის ცვლილების რიგით 26-ე კონფერენციის წინა შეხვედრას დაესწრო

გაეროს კლიმატის ცვლილების რიგით 26-ე კონფერენციის (COP26) წინა შეხვედრა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით, საქართველოში ბრიტანეთისა და იტალიის საელჩოების ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა მისასალმებელი სიტყვით გახსნა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს.

გაეროს კლიმატის ცვლილების რიგით 26-ე კონფერენციის (COP26) ჩატარება ქალაქ გლაზგოშია (2021 წლის 31.10 -12.11) დაგეგმილი.

„მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანა ელოდება კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის პარიზის შეთანხმების რიგით 26-ე შეხვედრას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩვენ ამ მიმართულებით გვაქვს ძალიან მკაფიოდ, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული დოკუმენტი. დოკუმენტის საერთაშორისო შეფასებისას ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ საქართველო ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა, რომელსაც გააჩნია მაღალი სტანდარტით მომზადებული, მთავრობის მიერ დამტკიცებული კლიმატის ცვლილების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

როგორც საუბრისას მინისტრმა აღნიშნა, კლიმატის ცვლილება და გარემოს დაბინძურება დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ყოველდღიურობაზე, როგორც ეკონომიკის სხვადასხვა დარგზე და სოფლის მეურნეობაზე, ისე თითოეული მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

ღონისძიების მონაწილეებმა კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ გლობალურ ბრძოლაში ქვეყნების ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინეს, ისაუბრეს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საფრთხეებისა და რისკების დასაძლევად საქართველოს მიდგომებზე“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ღონისძიებას იტალიის ელჩი საქართველოში, ენრიკო ვალვო, გაერთიანებული სამეფოს ელჩი საქართველოში, მარკ კლეიტონი, აშშ-ის ელჩი საქართველოში კელი დეგნანი და შესაბამისი საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საქართველოს პრეზიდენტი ჟენევაში ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ჟენევაში ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს შეხვდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველო მხარს უჭერს ეფექტიანი ინტელექტუალური საკუთრების სისტემის განვითარებას, განსაკუთრებით კანონმდებლობითი, ადმინისტრაციული, ინსტიტუციური მექანიზმების განვითარების მიმართულებით. საქართველოს პრეზიდენტმა მომავალ წელს საქპატენტსა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის 30 წლისთავის აღსანიშნავად მომავალ წელს ორგანიზაციის ხელმძღვანელი დარენ ტანგი საქართველოში მიიწვია.

„დღევანდელი შეხვედრა კიდევ ერთი ნიშანია იმისა, თუ რამდენად ღირსეული და მნიშვნელოვანია ჩვენი თანამშრომლობა ამ ორგანიზაციასთან, რომელიც იცავს ინტელექტუალურ საკუთრებას. ზოგჯერ ჩვენ ამას ვუყურებთ როგორც ძალიან ტექნიკურ და იურიდიულ ორგანიზაციას, რომელიც გვაძლევს მიმართულებას ახალი კანონმდებლობის თვალსაზრისით, მაგრამ ეს ორგანიზაცია ბევრად მეტია, ვიდრე მხოლოდ იურიდიული ასპექტი, რამეთუ, ჩვენთვის, პატარა ქვეყნისთვის, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ღვინის ექსპორტია, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დაცული იყოს ჩვენი ინტელექტუალური საკუთრება საზღვარგარეთ, რომ ექსპორტი გაადვილდეს. ამისთვის ჩვენ ამ დარგში მეტი ექსპერტი გვჭირდება.

ჩვენ დღეს შევთანხმდით, რომ უნივერსიტეტებს შორის განახლდეს პროგრამები და შეიქმნას ახალი მაგისტრატურის საერთო პროგრამა. ყველა ამ კუთხით ჩვენ დავეხმარებით ჩვენს ეკონომიკას, ჩვენს ახალგაზრდებს, ქალებს და პატარა და საშუალო ბიზნესს, რომ ჩვენი პროდუქცია იყოს უფრო დაცული და ეს არის ერთ-ერთი საერთაშორისო ინსტრუმენტი, რომელიც უნდა ვიცოდეთ როგორ გამოვიყენოთ.იმედი მაქვს, რომ მომავალ წელს საქართველო უმასპინძლებს ამ ორგანიზაციის სიმპოზიუმს და კიდევ უფრო კარგად გავიცნობთ ყველა იმ შესაძლებლობებს, რაც ამ კუთხით არსებობს“,- განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა.

როგორც ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა განაცხადა, ორგანიზაცია მზადაა განაგრძოს საქართველოს მხარდაჭერა სხვადასხვა სფეროებში და განავითაროს სხვადასხვა მიმართულებებით ქვეყანასთან მჭიდრო თანამშრომლობა.

რისთვის ჩამოდის აშშ-ს თავდაცვის მდივანი საქართველოში

პენტაგონის პრესსპიკერმა ჯონ კირბიმ ბრიფინგზე განაცხადა, რომ აშშ-ის თავდაცვის მდივანი, ლოიდ ოსტინი საქართველოს ეწვევა. “თავდაცვის მდივანი და მისი გუნდი მომდევნო კვირაში ევროპაში ვიზიტისთვის ემზადებიან. თავდაცვის მდივანი საქართველოს, უკრაინასა და რუმინეთს ეწვევა”,- განაცხადა პენტაგონის წარმომადგენელმა. მისივე თქმით, ეს მნიშვნელოვანი ვიზიტი ბრიუსელში, ნატო-ს თავდაცვის მინისტერიალით დასრულდება. თუმცა, ჯონ კირბის ვიზიტის ზუსტი თარიღი არ დაუსახელებია.როგორც ექსპერტი კახა გოგოლაშვილი აცხადებს, საქართველოსა და აშშ-ს შორის საკმაოდ წარმატებული სამხედრო თანამშრომლობა მიმდინარეობს. ანალიტიკოს კორნელი კაკაჩიას ითქმით, დაგეგმილი მარშუტი იმ სტრატეგიულ ინტერესებზე მიუთითებს, რომელიც აშშ-ს შავიზღვისპირეთში გააჩნია და რომლის შემადგენელი ნაწილი საქართველოც არის.

„არ მგონია თავდაცვის მდივანი პოლიტიკური მხარდაჭერის მიზნით ჩამოდიოდეს. საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის საკმაოდ წარმატებული სამხედრო თანამშრომლობა მიმდინარეობს და როგორც ჩანს, სწორედ ამ საკითხების განსახილველად ჩამოდის. საუბარი იქნება სამხედრო თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ვიზიტი მნიშვენელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის რადგან აშშ-ს ახალი ადმინისტრაციის პირობებში ყველა მოელოდა, რომ ისინი თავის აქტივობებს შავი ზღვის რეგიონში და რა თქმა უნდა, მთლიანად ევროპაში გააძლიერებდნენ. კონკრეტულად კი საქართველოშიც, რადგან საქართველო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტია შავი ზღვისპირეთში”, - აცხადებს გაზეთ „რეზონანსთან“ კახა გოგოლაშვილი.

„თავდაცვის მდივანი საქართველოს გარდა რუმინეთსა და უკრაინასაც ეწვევა, ეს კი იმ სტრატეგიული ინტერესების გაღრმავებაზე მიუთითებს, რომელიც აშშ-ს შავი ზღვის რეგიონებში და იმ ქვეყნებში გააჩნია რომელშიც ვიზიტია დაგეგმილი. ბუნებრივია ამ რგოლის ერთ-ერთი ნაწილი საქართველოც არის, რადგან საკმაოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტია. ვიზიტი დიდ როლს ითამაშებს შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის გაღრმავების პროცესში”, - მიიჩნევს კორნელი კაკაჩია.

მომატებული პენსია გაძვირებული ცხოვრების ფონზე - რა იცვლება ?

„პენსიები გაიზრდება“ - ამ ამბავმა უმალ მოიცვა ინტერნეტ თუ სოციალური სივრცე და პენსიონერ ხალხს კვლავ გაუჩნდა „სიხარულის“ მიზეზი. 70 წლამდე პენსიონერები 2022 წლის იანვრიდან მიიღებენ 20 ლარით მეტ პენსიას - 260 ლარის ოდენობით, ხოლო 70 წელს ზემოთ პენსიონერები - 25 ლარით მეტს, 300 ლარის ოდენობით. რაც შეეხება მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებ პენსიონერებს, პენსიის მოცულობა 70 წლამდე ასაკის პირთათვის გახდება 312 ლარი, ხოლო 70 წლის და მეტი ასაკის პირთათვის - 360 ლარი. საქართველოში მოსახლეობის დაახლოებით მეხუთედი კი ხანდაზმული (60+) პირია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს,დემოგრაფიულ პრობლემებზე სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების საჭიროებას. ამჟამად საქართველოში ასაკოვრივი პენსია ეკუთვნით ქალებს 60 წლიდან და მამაკაცებს 65 წლიდან. ბოლო მონაცემებით, საქართველოში პენსიას იღებს დაახლოებით 783,705 ადამიანი. აღსანიშნია, რომ პენსიების ზრდა საკვებ თუ სხვადასხვა ტიპის პროდუქტზე მომატებული ფასების ფონზე ხდება.

პენსიები საქართველოში ერთ-ერთი ცენტრალური, სოციალური და პოლიტიკური საკითხია. უფრო მეტიც, ის ასიათასობით ადამიანისთვის არსებობისა და შემოსავლის ერთადერთი წყაროა. 2020 წელს სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით, კანონში ცვლილებები შევიდა, რის შედეგადაც ყოველწლიურად პენსიების გადახედვის ავტომატური მექანიზმი განისაზღვრა. პენსიის ინდექსაციის ფორმულის შედეგად, 2021 წლიდან საბაზისო ასაკობრივი პენსია 20 ლარით გაიზარდა და 240 ლარს მიაღწია, 70 წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა პენსია კი 25 ლარით გაიზარდა და 275 ლარი გახდა. საპენსიო ინდექსაციის ფორმულის თანახმად, პენსიის ზრდის ტემპი ინფლაციასა და ეკონომიკური ზრდის დონეზე იქნება დამოკიდებული. უფრო კონკრეტულად, საპენსიო ინდექსაცია კანონით ასეა განსზღვრული:

1) 70 წლამდე ასაკის პენსიონერებისთვის პენსია — ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლით, მაგრამ არანაკლებ 20 ლარის ოდენობით გაიზრდება.

2) 70 წლისა და მეტი ასაკის პენსიონერებისთვის პენსია — ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლისა და ბოლო 6 კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) რეალური ზრდის მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკულის 80 პროცენტის ჯამით, მაგრამ არანაკლებ 25 ლარის ოდენობით გაიზრდება.

თუკი საბაზისო პენსიიის ამ დონეს რეგიონების სხვა ქვეყნებისას შევადარებთ, დავინახავთ, რომ საქართველოში არსებული პენსია საკმაოდ ახლოს დგას უკრაინის საშუალო პენსიასთან, რაც $72 დოლარს შეადგენს. უფრო მაღალი პენსიებია სომხეთში, რაც დაახლოებით $86 დოლარია. აზერბაიჯანში საშუალო პენსიის მოცულობა $176 დოლარია, რუსეთში კი $218 დოლარი. ყველას ახსოვს საქართველოში პენსიის რაოდენობის ცვლილებათა ქრონიკა. ის იზრდებოდა ეტაპობრივად და გარკვეული რაოდენობით. ალბათ, ყველას თუ არა უმეტესობას ემახსოვრება, ის „მაგიური“ და „ყოვლისშემძლე“ 8 ლარი, რომელიც მთელ თვეს უნდა გადაენაწილებინა „კარგ“ და „ხელმომჭირნე“ ოჯახის დიასახლისს, ამ რიცხვის ფონზე კი, ისიც გვახსოვს, თუ როგორ იცვლებოდა ათეულებში გამოხატული პენსიები წლებთან და ხელისუფლებების ცვილებასთან ერთად. საქართველოში საპენსიო სისტემის რეფორმირების მთავარი ტალღა 2004 წელს დაიწყო. 2004 წლამდე სახელმწიფო პენსია ფინანსდებოდა სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდიდან, რომლის საშემოსავლო რესურსი ემყარებოდა დამქირავებლისა და დაქირავებულის საგადასახადო შენატანებს. 2004 წლიდან მოყოლებული სოციალური პროგრამები ფინანსდება საერთო საბიუჯეტო შემოსავლებიდან. სწორედ 2004 წლის შემდგომ იწყება ტალღა, რომლის შედეგადაც საბაზო პენსიის მოცულობა 13-ჯერ გაიზარდა: 2004 — 14ლ (7,7$); 2005 — 28ლ (15,6$); 2006 — 38ლ (22,2$); 2007 — 55ლ (34,6$); 2008 — 70ლ (42,0$); 2009 — 80ლ (47,5$); 2010 — 80ლ (45,1$); 2011 — 100ლ (59,9$); 2012 — 125ლ (75,5$); 2013 — 150ლ (86,4$); 2014 — 150ლ (80,5$); 2015 — 160ლ (66,8$); 2016 — 180ლ (68,0$); 2017 — 180ლ (69,4$); 2018 — 180ლ (67,2$); 2019 — 200ლ (69,7$), 2020 — 220ლ (66,8$);

2021 წლის ბიუჯეტის თანახმად, მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფაზე ჯამურად 2.9 მილიარდი ლარი უნდა დაიხარჯოს. ეს 2020 წელთან შედარებით 370 მილიონი ლარით მეტია. ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, აქედან უშუალოდ ინდექსაციის დანერგვაზე 210 მილიონი ლარის ხარჯი მოდის, პენსიონერთა რაოდენობის ზრდა კი 160 მილიონი ლარით ზრდის სისტემის ხარჯებს. მომდევნო 5-10 წლის განმავლობაში პენსიონერთა რაოდენობის ზრდის ტემპი კიდევ უფრო მეტად დაჩქარდება, რადგანაც დღეისთვის ერთ-ერთი დიდი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები - 55-60 წლის ადამიანები, პენსიაზე გასვლას დაიწყებენ. შესაბამისად, უკვე 2022 წლიდან ბიუჯეტი 3 მილიარდ ლარს მიაღწევს. ბიუჯეტის ასეთ ზრდასთან ერთად, იკლებს ლარის მსყიდველუნარიანობა. აშშ დოლართან მიმართებით საბაზო პენსიის მოცულობას თუ შეხვედავთ, დავინახავთ, რომ დოლარებში გამოსახული პენსია საქართველოს ყველაზე მაღალი 2013 წელს ჰქონდა, როდესაც 150 ლარიანი პენსიის ღირებულება 86$ იყო. 2020 წელს კი 220 ლარიან საბაზო პენსიის ღირებულება აშშ დოლარში მხოლოდ 66.8$ იყო.

ფასების ზრდა, მომატებული პენსიის სიხარულს ნამდვილად სჯაბნის. პენსიონერებს კითხვით მივართეთ, თუ რას ფიქრობენ იანვრიდან პენსიის მომატებაზე. ისინი ფიქრობენ, რომ ,რომ არა გაძვირებული პროდუქტი, ყველაფერი მისასალმებელი იქნებოდა:

ანა, 75 წლის: „კარგია, და, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, რომ პენსია იზრდება, მაგრამ დიდად გახარებული არ ვარ. მაღაზიაში ან ბაზარში შესვლის უკვე მეშინია, რადგან სულ იმის მოლოდინი მაქვს, რომ ფასები კიდევ უფრო გაზრდილი დამხვდება. რა აზრი აქვს პენსიის გაზრდას, თუ მხოლოდ პურის ან მარილის ყიდვას მოვახერხებთ?“

ქეთინო, 80 წლის: „ალბათ, უმადურობა გამომდის, მაგრამ ფაქტია, რომ თუნდაც 240 ან 300 ლარით და დღევანდელი ფასებით, მხოლოდ მიზერული რაოდენობის საკვები პროდუქტების შეძენას შევძლებ. აღარაფერს ვამბობ მედიკამენტებზე, რომელთა ფასიც იმდენად დიდია, რომ ხან თვეობით ვერ ახერხებს ხალხი მათ ყიდვას. ფასები თუ დაიწევს, ნამდვილად გამიხარდება პენსიის მომატება“.

ირაკლი, 70 წლის: „დიახ, გავიგე, რომ პენსია იზრდება იანვრიდან. ისიც გავიგე, რომ პურის ფასი იმატებს 20 თეთრით, ზეთი უკვე აღარც ვიცი მერამდენედ გაძვირდა. გაძვირებული ცხოვრების ფონზე მომატებული პენსიის სიხარულს აზრი არ აქვს, შვილო. ფასები თუ არ შემცირდა ცოტათი მაინც, არაფერი სასიკეთო ამაში არ იქნება. სხვა მხრივ, რა თქმა უნდა, მივესალმები ჩვენი ხელისუფლების ასეთ გადაწყვეტილებებს“.

პ.ს საინტერესოა, რომ გაეროს მოსახლეობის დივიზიის პროგნოზით, საქართველოში მოსალოდნელია ხანდაზმული მოსახლეობის (65 წლის და ზემოთ ასაკის) რაოდენობის ზრდა.

* 2015 წელი - 14 %;
* 2035 წელი - 20.6 %.

იგივე პროგნოზით, 2035 წლისთვის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაიზრდება:

* ქალების – 80,8 წლამდე;
* მამაკაცების – 74,2 წლამდე.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

რატომაა ხელით წერა სასარგებლო?

დენიელ სტილიდან დაწყებული ნილ გეიმანით დამთავრებული, ბევრი მწერალი თავს არიდებდა კლავიატურით წერას. ნაცვლად ამისა, ისინი კალმით ფურცელზე წერდნენ. გეიმანი ამბობდა, რომ კლავიატურაზე კრეფა მისთვის მუშაობას ჰგავდა, ხოლო კალმით წერა კი თამაში იყო. თუმცა ამგვარი მიდგომები მხოლოდ მწერლებს არ ჰქონიათ. ისინი, ვინც მუდმივად კომპიუტერთან მუშაობენ, ცდილობენ ხელით წერონ. ხელით წერა დადებითად მოქმედებს ადამიანზე და გარდა ამისა, შესაძლებლობას აძლევს ამ პროცესში თვალები დაასვენოს. საკმაოდ ბევრმა კვლევამ აჩვენა, რომ ხელით წერისას ადამიანები მარტივად იმახსოვრებენ ინფორმაციას. ეს ერთგვარი „ღრმა კოდირებაა" — ანუ წერისას ჩვენდა უნებურად აღვიქვამთ იმას, რასაც ვწერთ და ეს ინფორმაცია ტვინში ჯდება. ხელით წერისას აქტიურდება ტვინის ის ნაწილები, რომლებიც შემეცნებას, შესწავლას უწყობს ხელს. ეს კი არ ხდება მაშინ, როდესაც კლავიატურაზე ვკრეფთ. ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტები, რომლებიც ლექციაზე სიტყვა-სიტყვით იწერდნენ ლექტორის სიტყვებს არც ისე წარმატებულად სწავლობდნენ, როგორც ისინი, ვინც ჩანაწერებს აკეთებდნენ ხელით. ხელით წერა აზროვნებაში, დამახსოვრებაში გვეხმარება, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

„ქაღალდი ადამიანზე მომთმენია", – წერს ანა ფრანკი საკუთარ დღიურში. დღიურის წარმოება წერის კიდევ ერთი საშუალებაა, რომელიც ასეთივე თავისუფალი და მოქნილია: შეგიძლიათ წეროთ ყოველთვის, ყველგან

და ნებისმიერი რამ. წერა ერთგვარი მედიტაციაა, რითიც გონების გაწმენდა, საკუთარი თავის უკეთ შეცნობა და ე.წ „მაინდფულნესის მდგომარეობის" მიღწევა შეგიძლიათ. (მაინდფულნესი არის მენტალური მდგომარეობა, რომელსაც შეგვიძლია მივაღწიოთ იმ შემთხვევაში, თუ ვფოკუსირდებით აწმყოზე, მოცემულ მომენტზე და ამავდროულად მივაქცევთ ყურადღებას და მივიღებთ საკუთარ გრძნობებს, აზრებსა და შეგრძნებებს)

სასურველია, საკუთარი განცდები გულწრფელად გადმოსცეთ. ეს დაგეხმარებათ, ზუსტად აღბეჭდოთ ის მენტალური მდგომარეობა, რომელშიც იმ მომენტში იმყოფებით. უმჯობესი იქნება, თუკი ყოველდღიურად გექნებათ გამოყოფილი დრო საწერად. ამით წერის ჩვევას გამოიმუშავებთ და ეს პროცესი დღის წესრიგის განუყოფელი ნაწილი გახდება. მნიშვნელოვანია ისიც, თუ დღის რომელ მონაკვეთს ირჩევთ ჩანაწერების გასაკეთებლად. ეს დამოკიდებულია თქვენს ხასიათსა და განრიგზე, თუმცა, საღამო, ალბათ, ის პერიოდია, როდესაც თქვენც გაქვთ დრო საწერად და დღის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენაც უკვე მომხდარია. თუკი საღამოს დაღლილი ხართ და ფურცელს ბალიშს ამჯობინებთ, შეგიძლიათ, დილით დაწეროთ წინა დღეს მიღებულ შთაბეჭდილებებზე; თანაც, ახალგაღვიძებულზე გონებაც დასვენებულია და მეტი შემართებით შეუდგებით საქმეს.

საწერი ადგილის პოვნაც თქვენს ხასიათზეა დამოკიდებული, თუმცა, წერისთვის უმჯობესია, თუკი მყუდრო და წყნარ ადგილს მონახავთ, სადაც ყურადღების გადასატანი საშუალება არ გექნებათ. სიმშვიდე საკუთარი აზრების უკეთ დალაგებასა და გრძნობებზე ფოკუსირებაშიც დაგეხმარებათ.

რაც შეეხება საწერ მასალას – ეს, რა თქმა უნდა, თქვენი ასარჩევია. თუკი ბლოკნოტში კალმით წერისას ხელი გეღლებათ, აუცილებელია, რომ უფრო მოსახერხებელი საშუალება აირჩიოთ. მნიშვნელოვანია, წერის პროცესში კომფორტულად გრძნობდეთ თავს და მის ნაჩქარევად დასრულებას არ ცდილობდეთ. იფიქრეთ იმაზე, თუ რა „გიფრთხობთ" გონებას იმ მომენტში: რაზე ფიქრობთ, დარდობთ და რას განიცდით. ეს შეიძლება იყოს წინა ღამეს ნანახი სიზმარი, პატარა უთანხმოება მეგობართან ან უსიამოვნო მოგონება.

რაც უნდა იყოს წერის მთავარი თემა, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ იგი საკუთარი პერსპექტივით დაინახოთ და ეცადოთ, შელამაზების გარეშე, გულწრფელად წეროთ. თავდაპირველად, შესაძლოა, ცოტათი შეშინდეთ კიდეც, თუმცა, როცა თქვენი ნააზრევით ფურცელს გაავსებთ, ერთი მხრივ, შვებას, მეორე მხრივ კი – საქმის დასრულებისგან მიღებულ კმაყოფილებას იგრძნობთ.

ეს კი იმ სარგებლის ჩამონათვალია, რომლის მოტანაც სიტყვებს შეუძლიათ:

აუმჯობესებს ძილს და ენერგიის აღდგენის პროცესს

მენტალური პრობლემების უმეტესობა ხშირად ძილის რეჟიმზე ახდენს გავლენას. უძილობა და არასაკმარისი დასვენება პირდაპირაა დაკავშირებული სტრესის მოზღვავებასა და შფოთვასთან. მათ, ვისაც ტრავმული გამოცდილება ჰქონდა, განსაკუთრებით უჭირთ დაძინება და ძილშიც უსიამოვნო სიზმრებით კარგავენ მოსვენებას. ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი გზა ამ პრობლემის მოსაგვარებლად ჩანაწერების გაკეთებაა. ამგვარად გათავისუფლდებით იმ ფიქრებისგანაც, რომლებიც ჩაძინებამდე გაწუხებთ.

ჟურნალმა TIME-მა გამოაქვეყნა ოკლენდის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორის, ელიზაბეთ ბროუდბენტისა და მისი გუნდის კვლევის ანგარიში. კვლევაში 49 ადამიანი მონაწილეობდა 64 წლიდან 97 წლამდე. მონაწილეები ორ ჯგუფად გაყვეს. ერთ გუნდს სთხოვეს, მომდევნო სამი დღის განმავლობაში მათ მიერ გამოვლილ ტრავმულ გამოცდილებაზე ეწერათ, მეორეს კი – იმ რაღაცებზე, რის გაკეთებასაც მომდევნო დღეს აპირებდნენ. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ პირველმა ჯგუფმა, რომელიც ტრავმულ გამოცდილებებზე წერდა, ძილი გაიუმჯობესა.

ამცირებს სტრესსა და შფოთვას

მიუხედავად იმისა, რომ წერასა და სტრესის შემცირებას შორის არსებული კავშირი დიდი ხანია, აღმოაჩინეს, ახალი კვლევები კიდევ უფრო ამტკიცებს ამ მოსაზრებას. მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ასოცირებული პროფესორი, ჯეისონ მოუზერი, ამბობს, რომ, როცა მოახლოებული დავალება გსტრესავთ, საკუთარი ემოციების გადმოცემა გონებას მეტ სიმშვიდეს ჰგვრის. მოუზერის მიერ 2017 წელს ჩატარებული კვლევა მიუთითებს, რომ წერა შესანიშნავი გამოსავალია მათთვის, ვისაც შფოთვასთან გამკლავება უხდება. პროცესი ხსნის ღელვას და გვეხმარება მეტისმეტი ფიქრისგან გათავისუფლებაშიც.

გვეხმარება დეპრესიასთან გამკლავებაში

უსიამოვნო ფიქრების გამოუთქმელად დაგროვება კიდევ უფრო აუარესებს მენტალურ მდგომარეობას და რთულ პრობლემებამდე მივყავართ. კვლევები მიუთითებს, რომ წერა დეპრესიასთან გასამკლავებელი ერთ-ერთი იარაღიცაა.

კვლევაში, რომელიც რამდენიმე ამერიკელმა ფსიქოლოგმა ჩაატარა, დეპრესიული აშლილობის მქონე 40 ადამიანი მონაწილეობდა. პირველ დღეს მათ მისცეს კითხვარები და გონებრივი სავარჯიშოები. ამის შემდეგ, მონაწილეები ორ ჯგუფად გაყვეს; პირველ ჯგუფს სთხოვეს, აღეწერათ მათი ფიქრები, განცდები და ემოციური მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდნენ. მონაწილეები ზედიზედ სამი დღე წერდნენ – ყოველდღიურად 20 წუთის განმავლობაში. მეორე ჯგუფს მკვლევრებმა სთხოვეს, ემართათ ემოციები და ყოველდღიურად ეწერათ მხოლოდ არაემოციურ აქტივობებზე. მეხუთე დღეს მონაწილეებმა კვლავ შეავსეს კითხვარები და შეასრულეს გონებრივი სავარჯიშოები. ოთხი კვირის შემდეგ, განმეორებითი ტესტირების ჩატარებამ დაასკვნა, რომ მათ, ვინც საკუთარ ემოციებზე წერდა, მნიშვნელოვანწილად შეუმცირდა დეპრესიის სიმპტომები.

აუმჯობესებს ტვინის მუშაობას

ყოველდღიური წერითი სამუშაო ტვინისთვის საუკეთესო სავარჯიშოცაა. წერის პროცესში ჩართულია თქვენი მეხსიერება, მოტორული და სხვა უნარები. ვაშინგტონის უნივერსიტეტის განათლების ფსიქოლოგიის პროფესორი, ვირჯინია ბერნინგერი, The Wall Street Journal-ში გამოქვეყნებულ საკუთარ სტატიაში აღნიშნავს, რომ თითის მოძრაობები წერის პროცესში ააქტიურებს ტვინის იმ უბნებს, რომლებიც ფიქრზე, ენასა და მეხსიერებაზეა პასუხისმგებელი. ჩანაწერების გაკეთებას, როგორც გონებრივ სავარჯიშოს, ხშირად ურჩევენ ხანდაზმულ ადამიანებსაც. თუკი ამის შესაძლებლობა გაქვთ, სცადეთ სხვა ენაზე წერაც. ამგვარად საკუთარი თავის განსხვავებულად გამოხატვასა და ფიქრების სხვა კუთხით დანახვასაც შეძლებთ; ამასთან, გაიუმჯობესებთ ენობრივ უნარ-ჩვევებსაც. ამიტომ, ეს კიდევ უფრო კომპლექსური გონებრივი სავარჯიშოა. ჩამოთვლილ და კიდევ ბევრ სხვა სარგებელთან ერთად, წერა აუმჯობესებს კონცენტრაციის, პრობლემების გადაჭრის და შემოქმედებითობის უნარებსაც.

ზრდის მადლიერების გრძნობას

ყოველდღიური რუტინული ცხოვრება ხშირად გვაიძულებს, მხოლოდ პრობლემებზე ვკონცენტრირდეთ. სწორედ ამის გამო გვავიწყდება ბედნიერი მომენტების სათანადოდ დაფასება, რომლებიც იმაზე მეტია ჩვენს ცხოვრებაში, ვიდრე გვგონია. თვალისმომჭრელად ლამაზი მზის ამოსვლა, გამყიდველი, რომელმაც ბედნიერი დღე გვისურვა, მეგობრის კომპლიმენტი და სხვა ბევრი დეტალი – ნუ მოგერიდებათ, რომ ამ ყველაფერზე ნაწერებშიც ისაუბროთ. გაზიარებული სიხარული გაორმაგებულიცაა. ეს ყველაფერი კი აისახება ჩვენს მოტივაციაზე, ოპტიმისტურ განწყობასა და ხანგრძლივ მენტალურ კეთილდღეობაზე.

ის, რაც ხშირად გვალიზიანებს ხელით წერისას, შეიძლება სასარგებლოც კი იყოს ჩვენთვის. ჩვენ ხელით ისე სწრაფად ვერ ვწერთ, როგორც ამას კლავიატურით ვაკეთებთ. ეს შეფერხება კი გვეხმარება შევნელდეთ და უფრო გააზრებულად დავწეროთ ტექსტი. ამავდროულად კი, გონება ისვენებს და შემოქმედებითი აზროვნებისთვის დრო ეძლევა.

და რაც მთავარია, ვერაფერი შეცვლის სუფთა ფურცელს, საყვარელ კალამსა და ჰარმონიას, რომელსაც ხელით წერა გვანიჭებს.

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

ვის სჭირდება „ბუსტერი“ და ვის შეუძლია გაიკეთოს საქართველოში?

საქართველოში უკვე იწყება კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის ე.წ. ბუსტერ დოზების გაკეთება - ეს არის მესამე აცრა, რომელიც სრულად ვაქცინირებულ ადამიანს უტარდება. დამატებითი აცრის შესახებ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ახალი ბრძანება გამოსცა და კონკრეტული კატეგორიები გამოყო.

ბრძანება 11 ოქტომბრით თარიღდება და უკვე მოქმედია. დამატებითი დოზის გაკეთება შესაძლებელია, თუ გასულია ვაქცინაციის სრული კურსიდან მინიმუმ 6 თვე.

დამატებითი დოზის ანუ „ბუსტერის" გაკეთება შეუძლიათ:

*50 წლის და უფროსი ასაკის პირებს (ანამნეზის გარეშე);

*ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებაში მცხოვრებ 16 წელზე მეტი ასაკის პირებს, მათ მომვლელებს და დაწესებულებაში დასაქმებულ პირებს (ანამნეზის გარეშე);

*პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებს და პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული ბრალდებული/მსჯავრდებული 16 წელზე მეტი ასაკის პირებს (ანამნეზის გარეშე);

*სამედიცინო პერსონალს (ანამნეზის გარეშე);

*16-დან 49 წლის ჩათვლით ასაკის პირებს, ქრონიკული დაავადებებით (ანამნეზით).

„ბუსტერ-დოზად შესაძლებელია გამოყენებული იყოს იგივე ან სხვა ვაქცინა, თუ დაშვებულია ვაქცინის მწარმოებლის მიერ", - ვკითხულობთ ახალ ბრძანებაში.

ვაქცინაციის საბჭოს წევრის, ივანე ჩხაიძის თქმით, „ასტრაზენეკას" ვაქცინით აცრილი მოქალაქეებისთვის „ბუსტერ" დოზის გაკეთება არ არის საჭირო. მანვე დააზუსტა, რომ „ბუსტერით" აცრა ეხება „ფაიზერით" აცრილ მოქალაქეებს, „სინოვაკით" და „სინოფარმით" აცრილთათვის კი სურვილის შემთხვევაში იქნება.

„კორონავირუსის შემთხვევები განსაკუთრებით გაზრდილია კახეთში“

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის თამარ გაბუნიას განცხადებით, ბოლო ორი დღეა, ქვეყანაში კორონავირუსის შემთხვევების მაჩვენებელი ხუთი ათასს აღწევს.

მისივე თქმით, ინფიცირების შემთხვევების რაოდენობა განსაკუთრებით გაზრდილია კახეთში.

„ვფიქრობთ, კახეთში ეს უკავშირდება რთველის სეზონს. შესაძლოა, გარკვეული სოციალური ღონისძიებები, თავშეყრა იყო. წვიამიანი სეზონი იყო და როგორც ჩანს, ეს ყველაფერი შენოგებში ხდებოდა, რამაც ინფექციის გავრცელებას შეუწყო ხელი. გარკვეული მატება აღინიშნება უფრო ახალგაზრდა ჯგუფებში, შესაძლებელია, სტუდენტებშიც იყოს ინფექციის უფრო აქტიური გავრცელება, ვიდრე აქამდე იყო. მათი მცირე ნაწილია ვაქცინირებული და აკადემიურ გარემოში ვირუსის გავრცელების რისკი არსებობს", — აღნიშნა თამარ გაბუნიამ.

გაბუნიას განმარტებით, მილიონამდე ადამიანი სულ მცირე ერთი დოზითაა აცრილი.

„ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლის მატებას ჯერ ვერ ვაფიქსირებთ, რაც არის იმედისმომცემი ნიშანი, შეიძლება, ეს იყოს ვაქცინაციის ეფექტიც კი, რადგან არსებობს ინფიცირებულთა მცირე ჯგუფი, რომლებიც ბინაზე რჩებიან და მცირე სიმპტომი აქვთ.

ამ შემთხვევაში, ამ ამბავს მეხუთე ტალღას ვერ დავარქმევთ, რადგან ჩვენთვის მეოთხე ტალღა არ დასრულებულა. შემთხვევების რაოდენობა ისედაც მაღალი იყო, ეს არის გარკვეული მატება მეოთხე ტალღის პერიოდში", — განაცხადა თამარ გაბუნიამ.

„პურის ფასზე 10-თეთრიანი ზრდაა, თუმცა, საქართველოში პურის დეფიციტი არ არის“

„პურის მცხოველთა ასოციაციის" თავმჯდომარე, მალხაზ დოლიძე ადასტურებს, რომ პურის ფასმა 10 თეთრით მოიმატა. როგორც მან „ინტერპრესნიუსთან" განმარტა, ფასების მატება მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ღირებულების ზრდამ განაპირობა.

„ვადასტურებ, რომ პურის ფასზე 10 - თეთრიანი ზრდა არის. დღეს მსოფლიოში ხორბლის ღირებულება რეკორდულ ნიშნულზეა, 300 დოლარს გასცდა. როგორც ცნობილია, ჩვენ სუბსიდირების პროგრამა დავასრულეთ, სახელმწიფო თითქმის 1 წელი ცდილობდა, პური არ გაძვირებულიყო, თუმცა, ჩვენს მეზობელ ქვეყნებს რომ დავაკვირდეთ, იმ ქვეყნებს, სადაც ჩვენზე მეტი ხორბალი მოჰყავთ, იქ პურის ფასი ბევრად მეტია, ვიდრე საქართველოში. აზერბაიჯანის, თურქეთის, რუსეთის ან სომხეთის მაგალითი რომ ავიღოთ. როდესაც ამ სურათს ვუყურებთ, პურზე 10 - თეთრიანი ცვალებადობა არამგონია ისე მტკივნეული იყოს, ამ ფაქტს ფასების მკვეთრი ზრდა დავარქვათ.

ჯერ კიდევ არჩევნებამდე, ფქვილის ღირებულების მატება დაიწყო, რამაც ჩვენი წარმოებების მუშაობა გაართულა. პურის სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამის გაუქმების შემდეგ, თვითღირებულებაში ვერ ვჯდებოდით. როგორც კი მსოფლიო ბაზარზე ცვლილებები იწყებოდა, ეს ჩვენზეც უარყოფითად აისახებოდა. პური არის ის პროდუქტი, რომელზეც ფასების ხშირი ცვალებადობა არასერიოზულობაა, თუმცა, ნამდვილად მტკივნეული პროცესია. ჩვენ ეს საკითხი რამდენჯერმე დავსვით სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე. მინისტრის განმარტება იყო, რომ დღეს საქართველოში პურის ფასი მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე დაბალია. ამ ადამიანმა თქვა ის სიმართლე, რაც არის. ვფიქრობ, დღეს პურის 10 - თეთრიან მატებას ქვეყანა არ დაუქცევია", - განაცხადა დოლიძემ.

მისი თქმით, არავის ინტერესში არ შედის ის, რომ პურზე ფასი გაიზარდოს. როგორც მალხაზ დოლიძე აცხადებს, დღეს ყველა პური შეფუთული იყიდება, რადგან ეს მოსახლეობის მოთხოვნაა.

„მესმის, შეჭირვებული ქვეყანა ვართ და ყველას გაუჭირდა, ეს ხომ ფაქტია. დღევანდელ ეკონომიკურ სიტუაციას რეალურად უნდა შევხედოთ. არავის აქვს იმის ინტერესი, რომ პურზე ფასი გაიზარდოს და ამით ისარგებლოს, მთავარია, გადავრჩეთ და რაღაცნაირად თავი გავიტანოთ. ჩვენ შეგვეძლო პური არ გაგვეძვირებინა, თუმცა არცერთი პური შეფუთული არ გამოვიდოდა. თუმცა, მოსახლეობას ასეთი პური არ უნდა, ითხოვს, რომ ყველა პური შეფუთული იყოს. მარტო შესაფუთი მასალა 15-16 თეთრი ჯდება. მგონია, სიკეთეს აკეთებს პურის წარმოება, რომ სტაბილურად მუშაობს და ფასს ინარჩუნებს",-განაცხადა დოლიძემ.

კითხვაზე, მოსალოდნელია თუ არა სამომავლოდ პურზე ფასების მატება, მალხაზ დოლიძე პასუხობს, რომ ეს ისევ და ისევ ხორბლისა და ფქვილის ფასებზეა დამოკიდებული.

„ჩვენ იმ გლობალურ სისტემაში ვართ, რასაც მსოფლიო ჰქვია. მსოფლიოში რომ შეიცვლება ხორბლის ფასი, მაგალითად, 500 დოლარი რომ გახდეს, ჩვენ რა გავაკეთოთ?! ყველაზე გამჭვირვალე დარგი არის პურის მრეწველობა. რატომ? იმიტომ, რომ ყველამ იცის, რა ღირს ერთი ტომარა ფქვილი, წყალი, მარილი და საფუარი. ნებისმიერი ბუღალტერი გააკეთებს კალკულაციას", - განაცხადა დოლიძემ.

მან ასევე გავრცელებულ ინფორმაციაზეც გააკეთა განმარტება, თითქოს თბილისის ცალკეულ უბნებში პურის დეფიციტია. როგორც მალხაზ დოლიძემ აღნიშნა, საქართველოში პურზე დეფიციტი არ არის.

„საქართველოში პურის დეფიციტი არ არის, დღეს ეს პრობლემა მოხსნილია. დისტრიბუცია მუშაობს და მსგავსი ფაქტი არ ყოფილა. ყოველთვის ვცდილობთ, მოსახლეობასთან მართალი ვიყოთ. თუმცა, თავს ზემოთ ძალა არ არის, როცა ხორბლისა და ფქვილის ფასი იზრდება. სხვათაშორის, დღეს ფქვილის ფასი 72 თუ 73 ლარი გახდა, 1 ლარით გაიზარდა, რაც ძალიან არასასიამოვნოა", - განაცხადა დოლიძემ.

მონატრება

ციური სეხნიაშვილი-გურაშვილი

13 ოქტომბერს ორმოცი დღე გავიდა იმ უბედური დღიდან, შავ პარკში გახვეული, სახლში მოუსვენებლად, ყოველგვარი პროცესიის და ტრადიციების გარეშე, გულგახეთქილმა შენი ოჯახის წევრებმა მიწას რომ მიგაბარეთ. მსოფლიო პანდემიის გამო, მილიონობით ადამიანთან ერთად, კოვიდმა შეიწირა შენი სიცოცხლეც. უკურნებელ სენს დაუძვერი ხელიდან წლების წინ, მაგრამ ახლა, შენი შვილების დიდი მცდელობის მიუხედავად, ვეღარაფერი გიშველეთ. 72 წლის სიცოცხლე გაკმარა უფალმა. ეს უმძიმესი ტკივილია ჩემთვის, როგორ არ მისკდება ეს მტკივანი გული, ჩემო ციური. 48 წელი გავატარეთ ერთად, ერთ უღელში შებმულები ვეწეოდით ცხოვრების ჭაპანს, ერთგულებით, შრომისმოყვარეობით, ურთიერთპატივისცემით. სამი შვილი მაჩუქე მიშიკო, მამუკა და ანა, კარგებიც გაზარდე, დავაოჯახეთ და შვილიშვილებითაც ავივსეთ. რძლებიც კარგი შეგვხვდა, დედასავით უყვარდი მაგულისაც და თინიკოსაც. შენ ისეთი კარგი ადამიანი იყავი, თავს ყველას აყვარებდი შენი ზრდილობით, თმენის უნარით, სიყვარულითა და პატივისცემით. ამიტომ თან გყვებოდა შენი - სიძე შალვა ღორაშვილიც, რომელიც მესამე ვაჟად მიიღე და შვილებისგან არ არჩევდი. ამიტომ დატოვე ასეთი დიდი ტკივილი თითოეულ მათგანში, ნათესავ-ახლობლებში, მეზობლებში, ყოფილ თანამშრომლებში. შენ ხომ ექთანი იყავი და მთელი ცხოვრება ადამიანების ჯანმრთელობას ემსახურე საავადმყოფოში, საბავშვო ბაღში, სკოლაში. რამდენი ადამიანი გაგიხსენებს მადლიერებით შენი გულისხმიერების გამო.

ორმოცი დღე გავიდა, ალბათ, წარსდექი უფლის წინაშე და სასუფეველიც დაიმკვიდრე შენი კარგი ადამიანობის საზღაურად. ჩვენ კი მოვედით შენს საფლავზე, დაგინთეთ სანთლები, ყვავილებით მორთეს შენი სამუდამო საცხოვრისი შენმა შვილიშვილებმა, ჭიქა ღვინოს წავუქციეთ თავი და ვთქვით შენი შესანდობარი როგორც კარგი მეუღლის, კარგი დედის და ბებიის და, ზოგადად, კარგი ადამიანის. ნათელში იყავი, ჩემო ციური, ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ. ნეტავ ვიცოდე რამდენი წელი დამრჩა სატანჯველად შენთან შეხვედრამდე?!

შენი მეუღლე, ნოდარ გურაშვილი.

მეზობლები: გია ჯერვალიძე, ნანა ყაზარაშვილი, ჯემალ კოტაშვილი, ომარ ალადაშვილი, გია გონაშვილი, გენადი ნასრაშვილი, ნონა ნიკოაშვილი, სოსო გოგაშვილი, დათო რობიტაშვილი, მარინე კაკალაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ზურაშვილს-მეუღლის, მაკა და რამაზის ოჯახებს-მამის, თემური და ნანას ოჯახს-ძმის

თამაზ ჯიგლაშვილის

გარდაცვალების გამო.

ნანა ალადაშვილი, ბორისი, ირინა, ირმა გორაშვილები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეზობლის

თამაზ ჯიგლაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის მეუღლეს ნანა ზურაშვილს, შვილებს რამაზის, მაკას, ძმას თემურ ჯიგლაშვილებს და მის ახლობლებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო თანაგრძნობას უცხადებენ ლელა ზვიადაურს ძმის

ლუხუმ ზვიადაურის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი თანაგრძნობას უცხადებს მანანა ნაროზაულს მეუღლის

გელა ტატუნაშვილის

გარდაცვალების გამო.

ლამარა ჭუჭულაშვილის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება ყოფილი თანამშრომლის და უმცროსი მეგობრის

გელა ტატუნაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

და ნაზი; ძმა კარლო მოსაშვილები; დისშვილი ილია ბიკაშვილი ოჯახებით იუწყებიან

როზიზონ მოსაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს. დაიკრძალა ქ.კალინინგრადში.

ლამარა ჭუჭულაშვილი, ფიქრია ალიკოშვილი, იანა იანვარაშვილი, ნაირა გორაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნაზი მოსაშვილს ძმის

როზიზონ მოსაშვილის

გარდაცვალების გამო.

მ ა დ ლ ი რ ე ბ ა

დიდი სიფრთხილის მიუხედავად ჩემს ოჯახშიც შემოაღწია კორონავირუსმა. ოჯახის წევრების და ჩვენი რაიონის მთავარი ექიმის ხათუნა ზურიკაშვილის რჩევით და დახმარებით, საყურადღებო ქრონიკული დაავადებების გამო, მომათავსეს კოვიდ კლინიკის რეანიმაციის, შემდეგ კი თერაპიულ განყოფილებაში. მე ვაჯობე კორონავირუსს მედპერსონალის მაღალი კვალიფიკაციის, თავდაუზოგავი და შეგნებული მუშაობის წყალობით. მადლობა მინდა გადავუხადო მთავარ ექიმს ხათუნა ზურიკაშვილს, მის მოადგილეს ექიმ ვანო ნატროშვილს, რეანიმაციის ექიმს ვასიკო გონაშვილს, ექიმს იამზე ბაღაშვილს, ჩემს ექიმს კარდიოლოგ ია უსენაშვილს, ექთნებს, სანიტრებს, ლაბორანტებს, რენტგენოლოგს, ტექ.პერსონალს, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ავადმყოფის გამოჯანმრთელება. ვუსურვებ მათ ჯანმრთელობას, გამძლეობას, წარმატებებს პირად და შრომით საქმიანობაში, სხვა დაავადებებთან ერთად მალე კოვიდის დამარცხებას. გფარავდეთ უფალი.

აცრა აუცილებელია!

აიცერით!

მადლიერებით,
ლილი ნასრაშვილი.

მე და ჩემმა ოჯახმა სექტემბრის თვეში გადავიტანეთ კოვიდი. მე დამჭირდა დედოფლისწყაროს საავადმყოფოში გადაყვანა. გაოცებული დავრჩი მედპერსონალის მომსახურებით, რომლებიც თავიანთ მოვალეობას უმაღლეს დონეზე ასრულებენ, წარმოუდგენელი სისუფთავე იყო. გვარ-სახელებს ვერ ჩამოვთვლი, რომ არავინ გამომრჩეს და საწყენი არ გახდეს.

ყველას დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მომსახურებისთვის. განსაკუთრებით მინდა ვუთხრა მადლობა საავადმყოფოს მენეჯერის მოადგილეს ვანო ნატროშვილს და ექიმს ასმათი ყოჩიაშვილს, რომელიც ყოველდღე მირეკავდა და მკითხულობდა.

პატივისცემით,
მარიამ ბოსტოღანაშვილი
სოფელი ზემო მაჩხაანი

5 ოქტომბერი მასწავლებელთა საერთაშორისო დღეა!

5 ოქტომბერს მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში მასწავლებელთა საერთაშორისო დღეს აღნიშნავენ!

მასწავლებელთა საერთაშორისო დღის დაწესება მიზნად მასწავლებლის მხარდაჭერას ისახავს.

იუნესკოს თანახმად, მასწავლებელთა საეთაშორისო დღედ 5 ოქტომბრის დაწესება აჩვენებს იმ წვლილს, რომელსაც პედაგოგები მომავალი თაობების აღზრდისა და განათლებისთვის იღებენ.

სკოლა და მასწავლებელი განუყოფელია ერთმანეთისაგან. დიახ, დღეს თქვენი დღეა პატივცემულო მასწავლებლებო, თქვენი რომელთა სიკეთის მადლი განუსაზღვრელია, შრომა დაუფასებელია. ვის არ გაჰყოლია გულის სითბო და ცხოვრების საგზლად თქვენი მადლიანი ღიმილი, თითოეული ჩვენგანი თქვენით ვამაყობთ, ცოდნის სიმართლის სიყვარული, რომ ჩაგვინერგეთ.

სკოლამ გამოგვატარა ია-ენძელით მოჩითული ველ-მინდორი და მიგვიყვანა მთის ძირზე, იმ მთის წვერზე კი ნატვრისთვალია, იმ თვალის აღება მოსწავლის ჯერია და ეს ყველამ უნდა შეძლოს. მასწავლებელი აკეთილშობილებს თითოეულ შემოქმედის ფიქრსა და ნაღმოღვაწარს, მასწავლებელი აცისკროვნებს ყველაფერს, რასაც კი მისი მადლიანი ხელი შეხებია, იგი წყაროა სიკეთისა და სიხარულისა. მასწავლებელი მდინარეა უდიდესი, რომელიც ფილტრავს და წმენდს ჩვენს სულსა და გონებას დროთა ჟამისაგან ამღვრეულს. მასწავლებელი ბუდეა ჩვენი კაი-კაცობის, უბიწო გამგებელია სააღსარებოდ, რომ გიწევს და გისმენს, როგორც არავინ არასდროს ამ ქვეყნად. აქვე მოვიშველიებ იოსებ ნონეშვილის ძვირფას სტრიქონებს მასწავლებელზე:

„მასწავლებელი-რამ დაგვაყიწყოს,
ჩვენთვის ზრუნავდა, ჩვენთვის შრომობდა
ქვეყნად არც ერთი ბერძენი არ იყო,
მასწავლებელი არა ჰეოლოდა
მასწავლებელი გულს ჩახატული
დიდი ფიქრები, დიდი სურვილი
მასწავლებელი-მზე, გაზაფხული
მთები, ეანები,
მასწავლებელი-ცოდნის ნათელით
უსწავლელობის დამარცხებელი...
აი, რას ნიშნავს მასწავლებელი
აი, რად გვიყვარს მასწავლებელი“.

პოეზიის ქვეყანაში რა იქნებოდა ქართული ლექსი მასწავლებლის სიყვარული, ზრუნვა და თავდადება, რომ არ დაეფარებინა... და ბოლოს....

ძვირფასო პედაგოგებო, გულით მასწავლებლის საერთაშორისო დღეს! უდიდეს პატივისცემას და მადლიერებას თქვენი ღვაწლის მიმართ, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, შემართებას, პროფესიის ერთგულებასა და სამშობლოსთვის განათლებული, საამაყო შვილების აღზრდას.

თამარ ჯავაშვილი,
დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

კლინიკა „ნეოლაბის“ ლაბორატორია აღჭურვილია დასავლეთ ევროპული კომპანიების მიერ წარმოებული აპარატურით. ლაბორატორიაში მომუშავე მაღალკვალიფიციური პერსონალი წარმოადგენს მიღებული შედეგების სიზუსტისა და ხარისხის გარანტიას.

ლაბორატორია „ნეოლაბი“ ასევე გთავაზობთ მრავალფეროვანი კვლევების ჩატარებას შემდეგი მიმართულებებით: ჰემატოლოგია, ბიოქიმია, სეროლოგია, იმუნოლოგია, კოაგულოლოგია, ალერგოლოგია, ბაქტერიოლოგია. კლინიკაში ასევე წარმოებს მოლეკულური დიაგნოსტიკა პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (PCR) მეთოდით, რომლის საშულებითაც შესაძლებელია სხვადასხვა ბაქტერიული და ვირუსული ინფექციების ზუსტი და ადრეული დიაგნოსტიკა. ამ მეთოდის უპირატესობა მისი მაღალი მგრძნობელობა და სპეციფიურობაა.

კლინიკა „ნეოლაბში“ ტარდება შემდეგი სახის გამოკვლევები:

- კლინიკური და ბიოქიმიური: სისხლის საერთო ანალიზი, ღვიძლის ფუნქციები, თირკმლის ფუნქციები, შარდის ანალიზი, განავლის ანალიზი.
- სეროლოგიური გამოკვლევები: იმუნოფერმენტული (ELISA) და იმუნობლოტინგის მეთოდებით (A, B, C, D ჰეპატიტის ვირუსებზე; ჰერპესის ჯგუფზე - მარტივი ჰერპესის, ჩუტყვავილა-ზოსტერის, ებშტეინ-ბარის ვირუსები, ციტომეგალოვირუსი, წითელას და წითურას ვირუსები და მრავალი სხვა).
- ჰორმონებზე გამოკვლევა:ფარისებრი ჯირკვლის, სასქესო, და სხვ.
- მოლეკულური დიაგნოსტიკა: პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია (PCR), C ჰეპატიტის ვირუსის და ადამიანის პაპილომავირუსული ინფექციის (HPV) გენოტიპირება. ასევე ქლამიდიოზისა და გონორეას დიაგნოსტიკა, პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (PCR) მეთოდით.
- ბაქტერიოლოგიური გამოკვლევები.
- ალერგიული დაავადებების დიაგნოსტიკა:

საერთო IgE-ს განსაზღვრა სისხლის შრატში

ალერგენ-სპეციფიკური IgE ტიპის ანტისხეულების რაოდენობრივი განსაზღვრა სისხლის შრატში - კვებითი, მცენარეული, საყოფაცხოვრებო, მედიკამენტური და სხვა ალერგენების მიმართ.

კომპიუტერული სპიროგრაფია.

უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

ნ ი კ ო ლ ო ზ შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ს !

ქალაქ დედოფლისწყაროს ყველაზე დღეგრძელ, ცნობილ პიროვნებას, დამსახურებულ ფინანსისტს, საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი „მეტრის“ ნომინანტს, მეუღლეს, მამას და პაპას გულწრფელად ვულოცავთ დაბადების 98-ე წლისთავს და სვეტიცხოვლობას.

საუკეთესო სურვილებით და პატივისცემით, „მეტრის“ ნომინანტები: აბრამ ხარაშვილი, როგიზონ ნატროშვილი და გოდერძი გონაშვილი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა !

გაზეთ „შირაქის“ №36-37 ნომერში, მეორე გვერდზე, მასალაში „დედოფლისწყაროს მოსახლეობამ არჩევანი გააკეთა“, ნომერი მეშვიდე მაჟორიტარული **არხილოსკალოს** ნაცვლად უნდა იკითხებოდეს მაჟორიტარული **ზემო ქედი**. დანარჩენი, როგორც ტექსტშია. ჩვენს მკითხველს, ბოდიშს ვუხდით შექმნილი უხერხულობისთვის.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია.

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 18.10		სამშაბათი 19.10		ოთხშაბათი 20.10		ხუთშაბათი 21.10		პარასკევი 22.10		შაბათი 23.10		კვირა 24.10	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
18°	9°	15°	8°	13°	4°	11°	3°	12°	4°	15°	6°	17°	6°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი);
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.